საგრანტო კონკურსი მოსწავლეთათვის

ევროპის უნივერსიტეტი, ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტის - *„ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარება ქართულ სკოლებში“* (EU-GS; 620893-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT) ფარგლებში, აცხადებს საგრანტო კონკურსს პროექტში ჩართული სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის.

საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავს ისეთი ინიციატივების მხარდაჭერას, რომელიც ხელს შეუწყობს ევროკავშირისა და ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციას სკოლებში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა შევსებული საპროექტო განაცხადის ფორმა **2022 წლის 17 მაისის, 23:59 სთ**-ის ჩათვლით, უნდა გამოაგზავნონ შემდეგ ელ.ფოსტაზე: **international.office@eu.edu.ge**

გთხოვთ, subject-ის ველში მიუთითეთ: *„საპროექტო განაცხადი“*

<u>დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ:</u>

კონკურსის მიზნები

- ევროკავშირისა და ევროპული ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- ევროკავშირთან დაკავშირებული თემების შესახებ ცოდნის გაღრმავება

კონკურსის მიმართულებები

პროექტი შეიძლება იყოს როგორც შემეცნებითი, ისე შემოქმედებითი ხასიათის. პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს, თუმცა, არ შემოიფარგლება შემდეგით:

- ცნობიერებების ასამაღლებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება
- მოცემულ საკითხზე შემეცნებითი ვიდეო მასალის მომზადება
- თემის გარშემო ბლოგების/ესეების სერიის მომზადება

კონკურსის პირობები

- საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ევროპის უნივერსიტეტის EU-GS პროექტში ჩართული სკოლების **XI-XII კლასის** მოსწავლეებს
- წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა სცდებოდეს **3 თვეს**
- პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს **1000 ლარს.** პროექტის დასაწყისში გრანტის მიმღები განკარგავს ჯამური ბიუჯეტის 90%-ს, ხოლო ანგარიშის წარდგენის შემდეგ კი ის მიიღებს დარჩენილ 10%-ს
- პროექტის გუნდს ევალება პროექტის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს პროექტის წერილობითი და ფინანსური ანგარიში*

** პროექტის განხორციელების პროცესში ევროპის უნივერსიტეტი მონაწილეებს მიაწვდის მითითებებს ანგარიშის ფორმებთან დაკავშირებით.*

კონკურსის ვადები

- განაცხადის მიღების ბოლო ვადა: **17 მაისი, 2022**
- შედეგების გამოცხადება: **20 მაისი, 2022**
- გამარჯვებული პროექტების წარდგენა: **25 მაისი, 2022**